MES 1 23 0000373701

03/04/2023

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 20 მარტს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს წევრი.
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ვალერი გულბანი - ა(ა)იპ -ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;

ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
ნინო ელბაქიძე - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროფესიული განათლების პოლიტიკის სპეციალისტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო გორგოშაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - **-** სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში- ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლელა კიკნაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაია აბდალაძე- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ნინო ვასაძე
- თამარ ლომინაძე
- ვალერი ჯაჯანიძე
- ნანა მონიავა
- ხათუნა ფარეიშვილი
- მანანა მოისწრაფიშვილი
- ავთანდილ გეგენავა

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი "მოდუსი"

კოლეჯის დირექტორი - ნინო ქავთარაძე;
დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით - მაია დალაქიშვილი;
დირექტორის მოადგილე ეკონომიკური მიმართულებით - დიანა გოშაძე;
ხარისხის მართვის მენეჯერი - მადონა გოგობერიშვილი;
მარნეულის ფილიალის მენეჯერი - ნინო მთვარელიძე;

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“

ხარისხის მართვის მენეჯერი - სოფიკო ყულეჯიშვილი;
სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს - დენიზი ცინცაძე;

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.

ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 7 მარტის №228499 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ კოლეჯი „მოდუსისთვის“ ქ. რუსთავში „ვებტექნოლოგიების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
4. სსიპ კოლეჯი მოდუსისთვის ქ. რუსთავში "მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ კოლეჯი მოდუსისთვის ქ. რუსთავში "ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღებვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ კოლეჯი მოდუსისთვის მარნეულის მუნიციპალიტეტის სასწავლო კორპუსში "სამკერვალო წარმოების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
7. შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორისთვის ,,სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
8. შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორისთვის ,,გემბანის რიგითი მეზღვაურის “პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

პირველი საკითხი: შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა და აღნიშნა, რომ, პირველ საკითხთან დაკავშირებული გადაწვეტილებების მომზადების დროს გამოვლინდა, რომ შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემიას - SBA რამოდენიმე გადაწყვეტილებით აქვს ამ პროგრამებზე განხორციელების უფლება მინიჭებული და ამ გადაწყვეტილებების ნაწილებში ცვლილებებია შეტანილი. სამწუხაროდ, გაგვიჭირდა დაგვეზუსტებინა ყველა პროგრამის პარამეტრები, გავაკეთეთ პროექტი, მაგრამ ეს პროექტი არ არის ტექნიკურად გამართული, ამიტომ, გთხოვთ, ეს საკითხი გადავდოთ შემდეგი სხდომისთვის, როცა წარმოგიდგენთ გაერთიანებული გადაწყვეტილების პროექტს, ყველა პროგრამა იქნება წარმოდგენილი ერთ ცხრილში.

საბჭომ მხედველობაში მიიღო აღნიშნული გარემოება და შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი გადაიდო საბჭოს შემდეგი სხდომისთვის.

მეორე საკითხი: შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 7 მარტის №228499 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა, აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 7 ივნისის N532031 ბრძანების შესაბამისად დამტკიცდა ზოგადი მოდული, „სამოქალაქო განათლება“ (სარეგისტრაციო N0110005) 3 კრედიტის მოცულობით და ძალადაკარგულად გამოცხადდა „სამოქალაქო განათლების“ ზოგადი მოდული (სარეგისტრაციო N0110004, 2 კრედიტი). აქედან გამომდინარე, კოლეჯმა განახორციელა ცვლილება საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „საფინანსო სერვისები“ ძირითად დოკუმენტსა და სასწავლო გეგმაში და შესაბამისობაში მოიყვანა ზემოთაღნიშნულ ცვლილებასთან მიმართებაში, რის შემდეგაც ცენტრს მომართა ავტორიზაციის საბჭოსთან შუამდგომლობის მიზნით. ნანი დალაქიშვილმა მიმართა საბჭოს კრედიტების ცვლილებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯომარემ მიმართა კითხვით ნანი დალაქიშვილს, იყო თუ არა აღნიშნული კრედიტების ცვლილების შესახებ ინფორმაცია შეტანილი დასკვნაში, მაშინ როდესაც დაწესებულებამ მიიღო ავტორიზაცია.

ნანი დალაქიშვილის განცხადებით, ავტორიზაციის მინიჭების დროს არ იყო სავალდებულო კრედიტების ცვლილება, თუმცა 2022 წლის პირველი ივნისის შემდგომ გაჩნდა ვალდებულება, თუმცა, ქმედებების განხორციელებაც დააგვიანა დაწესებულებამ და შემოიტანა მოგვიანებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 7 მარტის №228499 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 7 მარტის №228499 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 1).

მესამე საკითხი: სსიპ კოლეჯი „მოდუსისთვის“ ქ. რუსთავში „ვებტექნოლოგიების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფების დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა ნინო ვასაძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
მისი განცხადებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ვიზიტი სსიპ კოლეჯ „მოდუსში“, მისამართი: (ქ. რუსთავი, ჟ.შარტავას. გამზ. N4), მიმდინარე წლის 31 იანვარს, "ვებტექნოლოგიების“ ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით. ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია: საგანმანათლებლო პროგრამა, სამართლებრივი დოკუმენტაცია, რომლითაც რეგულირდება კოლეჯის საქმიანობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი დაწესებულებასთან. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ კოლეჯის დირექტორს, ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელს, პედაგოგებს, მათ შორის ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელ პირებს. დაათვალიერეს მატერიალური რესურსი-A გარემო, B-C გარემო, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა დაწესებულებიდან, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ დაწესებულებას „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიციაში არ წარმოუდგენია განსხვავებული პოზიცია. შესაბამისად, დარჩა დასკვნის პროექტში არსებული შეფასება.

შესაბამისობის რეკომენდაცია

პროგრამის დამატებაზე დაწესებულებამ წარმოადგინა განაცხადი მეტწილი შესაბამისობით, გამომდინარე იქედან, რომ სრულყოფილად არ ჰქონდათ შეძენილი აღჭურვილობა. ამიტომაც ექსპერტთა ვიზიტის დროს პროგრამა შეფასდა მეტწილ შესაბამისობაში და გაიცა რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული აღჭურვილობის შესყიდვა.

განმავითარებელი რეკომენდაცია

რეკომენდირებულია, დაწესებულებამ რეგულარულად განაახლოს პროგრამის განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში განხილულია საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსები, ასევე აღნიშნულია, რომ კოლეჯი წლების განმავლობაში ახორციელებს „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ხოლო 2020 წლიდან კოლეჯმა დაიმატა ამ მიმართულებით „კომპიუტერული ქსელის და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. „ვებტექნოლ ოგიების“ პროგრამა შემუშავდადამსაქმებელთა და სწავლის მსურველთა მოთხოვნის საფუძველზე. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, კოლეჯმა ჩაატარა კვლევა. გამოკითხული ორგანიზაციებიდან დამსაქმებელთა 95% განიცდის კვალიფიციური კადრების სიმცირეს ამ მიმართულებით. კოლეჯი აწარმოებს ბაზას და უტარებს გამოკითხვას სხვადასხვა ჯგუფებს. ვიზიტისას წარმოდგენილ იქნა ფორმის კითხვარის შედეგები და ანალიზი, რომლის მიხედვითაც აღნიშნული პროგრამა მოთხოვნადია.კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის მეორე ამოცანა გახლავთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება. კოლეჯს განსაზღვრული აქვს მისია, რომლის თანახმადაც იგი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლისთვისაც პრიორიტეტულია ინოვაციური მეთოდების დანერგვა სწავლებაში, გამოყენებადი ცოდნა-უნარების მიწოდება პროფესიული განათლების მსურველთათვის და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი, კვალიფიციური კადრების მომზადება, როგორც გრძელვადიანი ისე მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, თუ რამდენ პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარდა გამოკითხვა, და რამდენად შეეძლოთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მიზანშეწონილობის დოკუმენტზე დაყრდნობა.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ გამოკითხა პოტენციური დამსაქმებელი და თვითდასაქმებულიც. მისი თქმით, კონკრეტული რაოდენობა არ იყო მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში და არც წარმოდგენილ კვლევაში მოცემული, თუ რა რაოდენობის ორგანიზაცია იქნა გამოკითხული, თუმცა გამოკითხულთა 95%-მა აღნიშნა, რომ სჭირდებოდათ მსგავსი კვალიფიკაციის მქონე პირები სამსახურში და ზოგადად ამ პროგრამის მოთხოვნადობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ იდგა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამები თბილისის ბაზრისთვის უფროა გათვილი და არა რუსთავის, იმიტომ რომ, პრაქტიკის ობიექტები დაწესებულებას თბილისში ჰქონდა შერჩეული. ფაქტობრივად გაცნობით პრაქტიკას თბილისში გაივლიდნენ სტუდენტები. მისი თქმით, ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე, კარიერული დაგეგმვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი იქნა დასაბუთება, რომლის საფუძველზეც ირკვევა, რომ რეალურად მოთხოვნადი იყო ეს პროფესია და თვითონ ის ორგანიზაცია , რომლიც უშულოდ პრაქტიკის ობიექტად იქნა შერჩეული, ქ. თბილისში მზად არის, რომ მიიღოს და დაასაქმოს აღნიშნული კურსდამთავრებული შესაბამის პოზიციებზე.

ექსპერტმა თამარ ლომინაძემ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გააკეთა კომენტარი და განმარტა, რომ ქ. რუსთავში პროგრამის განმახორციელებელი პირები ნაკლებად იყვნენ და ისინი ძირითადად თბილისში მუშაობდნენ, შესაბამისად ადგილობრივებიც ცდილობენ, რომ

უფრო თბილისში დასაქმებულიყვნენ, თუმცა კოლეჯმა წარმოადგინა საკმაოდ კომპეტენტური ადამიანები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, თუ რამდენად შესაძლებელია დაწესებულებამ 6 თვის ვადაში სრულად წარმოადგინოს მატერიალური რესურსი.

ექსპერტმა, თამარ ლომინაძემ, აღნიშნა რომ თუკი ფინანსური მხარდაჭერა ექნებოდა კოლეჯს მატერიალური რესურსის შეძენა ამ პროგრამის ფარგლებში არ გაუჭირდებოდათ. მისი თქმით, დროის მიხედვით მატერიალური რესურსის შეძენის პრობლემა არ არის , თუ არსებობს თანხა კოლეჯს დღესვე შეუძლია შეიძინოს აღნიშნული რესურსები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია, განსაკუთრებით მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით თუ რა სიტუაცია იყო ამჟამად.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით ის რეკომენდაციები, რაც ვიზიტის დროს გამოიკვეთა ნამდვილად იყო მათთვის მნიშვნელოვანი. მიზანშეწონილობის დასაბუთების ნაწილში, მისი თქმით, როცა დაწესებულებამ წარადგინა განაცხადი მითითებული იყო პარტნიორი ორგანიზაციების დასახელება, რომელიც დასაქმების კუთხით და პრაქტიკის ნაწილში კოლეჯთან ჩართული იყო პარტნიორულ ურთიერთობებში, ასევე, განცხადებაში ჰქონდათ მითითებული, რომ გამოკითხული ჰყავდათ 15 დამსაქმებელი. როგორც დაწესებულების წარმომადგენელი აღნიშნავს, პროგრამის სპეციფიკა იყო ისეთი, რომ ძირითადად ამ სფეროში მომუშავე ადამიანები არიან თვითდასაქმებულები და შესაბამისად გამოიკვეთა პროგრამის აუცილებლობა. გარდა იმისა, რომ დაწესებულება აიტის სფეროში ორ პროგრამას ახორციელებს, მიღებების პროცესში დიდი მოთხოვნილება იყო ხოლმე „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, შესყიდვების პროცედურების კუთხით დაწესებულებას უწევდა რთული გზის გავლა და კომპიუტერული ტექნიკა იყო ის აღჭურვილობა, რაც ექვემდებარებოდა ხოლმე კონსოლიდირებულ ტენდერს. მისი თქმით, ახლა იყო ის პერიოდი, როცა დაწესებულებები და მათ შორის სკოლებიც მიდიოდნენ ხოლმე კონსოლიდირებულ შესყიდვებზე და საკმაოდ დიდი იყო მოთხოვნა კომპიუტერულ ტექნიკაზე, ამიტომ ფიზიკურად რაოდენობა კომპანიას არ ჰქონდა. რაც შეეხება ვადებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, კოლეჯს ურჩევნია, რომ ექსპერტებს ვიზიტის დროს დაახვედრონ მასალა სრულად შესყიდული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი „მოდუსისთვის“ ქ. რუსთავში „ვებტექნოლოგიების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62 - ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯი „მოდუსს“ (ს/კ:216350829) მიენიჭოს უფლება ქ. რუსთავში დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 2). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 20 მარტი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებით. ჩაინიშნოს მონიტორინგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ 2.2 კომპონენტის ფარგლებში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 20 ივნისი.

მეოთხე საკითხი: სსიპ - კოლეჯი მოდუსისთვის ქალაქ რუსთავში "მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

მეხუთე საკითხი: სსიპ - კოლეჯი მოდუსისთვის ქალაქ რუსთავში "ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღებვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებსა და დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს.

წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფების დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რომ მეოთხე და მეხუთე საკითხები განეხილათ ერთად და დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელი ნინო ვასაძემ და ვალერი ჯაჯანიძე მიესალმნენ დამსწრე პირებს და ექსპერტებმა საუბარი დაიწყეს ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

ექსპერტის განცხადებით, ორივე პროგრამას C გარემო ინდეტური ჰქონდა, აქედან გამომდინარე წარადგენდა ერთად. რაც შეეხება ბრძანებებს ორი სხვადასხვა ბრძანებით განხორციელდა ვიზიტები დაწესებულებაში. რაც შეეხება შეფასებას ორივე პროგრამა შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი, თუმცა დაწესებულების განაცხადში 2.2 კომპონენტი პროგრამის განხორციელების რესურსი წარმოდგენილი იყო მეტწილი შესაბამისობით, თუმცა ვიზიტის პერიოდში დაგვხდა შესყიდვის პროცედურა დასრულებული და ყველა ინვენტარი ადგილზე იყო, მათ შორის დაწესებულებამ წარმოადგინა შესყიდვის ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტები, შესაბამისად აღნიშნული შეფასება გადავიდა, როგორც სრულად შესაბამისი. საბოლოო ჯამში ორივე პროგრამა გახლავთ სრულად შესაბამისი.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ზრდის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას და აქტიურად არის ჩართული პრობაციის სააგენტოს პროექტებში.

განმავითარებელი რეკომენდაციები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონულისი სტემების შეკეთება

2.1.1.1 რეკომენდირებულია მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი მოიცავდეს ინფორმაციას ჩატარებული კვლევის და მისი შედეგების შესახებ.
2.2.1.2 რეკომენდირებულია მოხდეს ტექნიკური უცხო ენის მოდულზე განმახორციელებლების დუბლირება და დაემატოს პროფესიული მოდულის განმახორციელებელი პირი, რომელსაც ექნება დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ავტოსატრასპორტო საშუალებების ღებვა

რეკომენდირებულია, მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი მოიცავდეს ინფორმაციას ჩატარებული კვლევის და მისი შედეგების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, აღნიშნული პროგრამაში იყო თუ არა ზოგადი უცხო ენა, თუ მხოლოდ დარგობრივი უცხო ენა ისწავლება.

ექსპერტის განცხადებით,დაწესებულებას ჰყავდა უცხოური ენის განმახორციელებელი, რომელიც ტექნიკურ ინგლისურს და ზოგად ინგლისურს ატარებდა, შესაბამისად ორივე ინგლისურის ენის შესწავლა იყო შესაძლებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, ჰქონდა თუ არა A გარემო ორივე პროგრამას ერთი და იგივე .

ექსპერტის განცხადებით, ამ შემთხვევაში Aგარემო ორივე პროგრამისთვის იყო სხვადასხვა, რომელიც ნათლად ჩანდა საბჭოზე წარმოდგენილ ფოტომასალაში. მისი განცხადებით, B გარემო ორივე პროგრამას ერთი დაიგივე ჰქონდა, რომლითაც სხვა სტუდენტებიც სარგებლობდნენ. ექსპერტები გაეცნო B გარემოს დატვირთვის ცხრილსაც და გამოიკვეთა შესაბამისობა, რომ პროგრამების საჭირო მოდულები განხორციელებული იყო. რაც შეეხება C გარემოს, ამ შემთხვევაშიც ორივე პროგრამას ერთი და იგივე ჰქონდა. დაწესებულებას ჰქონდა პრაქტიკის ობიექტიც, მაგრამ პრაქტიკის ობიექტზე რომელიმე სწავლის შედეგის ან რომელიმე მოდულის გატანის აუცილებლობა არ იყო.

ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ საკითხთან დაკავშირებით გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ ტექნიკური უცხო ენა, რომელზე გაიცა რეკომენდაცია, სპეციფიური მოდულია. რეალურად მხოლოდ ტექნიკური უცხო ენის ცოდნას არ მოიაზრებს, განსაკუთრებით მისი მე-3 და მე-2 შედეგი, მოითხოვდა დარგში ჩახედულ ადამიანს არამარტო ავტოტრანსპორტის მიმართულებით, არამედ ელექტროობის მიმართულებით, იმიტომ რომ შეძლოს კონკრეტული სქემების წაკითხვა და თუნდაც სქემაზე დატანილი სიმბოლოების გარჩევა. მისი თქმით, ამას კონკრეტული სპეციალისტი, რომელსაც აქვს ფილოლოგიის კვალიფიკაცია ინგლისური ენის მიმართულებით, ვერ შეძლებს, ამიტომ ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი იყო ხოლმე, რომ შედეგების მიხედვით გაყოფილიყო მოდული 2 პროფესიულ მასწავლებელს შორის. რაც შეეხება C გარემოს, C გარემოში კიდევ ერთი ავტომობილი იყო, რომელიც არ ჩანდა საბჭოზე წარდგენილ ფოტომასალაში. დაწესებულებას 3 ავტომობილი ჰქონდა, თუმცა აღსანიშნავია ის, რომ C გარემოს იყენებს აღნიშნული მიმართულების ყველა პროგრამა, კერძოდ ძრავას შეკეთება, სავალი ნაწილის შეკეთება, გამონაკლისს შეადგენს „მღებავის“ პროგრამა.

ტიტე ბოლქვაძემ მიმართა ექსპერტს კითხვით სასწავლო რესურსთან დაკავშირებით, ჰქონდათ თუ არა შენიშვნები , ვინაიდან რესურსების ძალიან ბევრი ჩამონათვალი იყო.

ექსპერტის განცხადებით აღნიშნული გახლდათ ჩარჩო დოკუმენტის პრობლემა, ვიდრე დაწესებულების, იმიტომ, რომ სასწავლო რესურსი რომელიც საჭიროა პროგრამის განსახორციელებლად როგორც ელექტროობის, ისე მღებავის მიმართულებით, ეს ლიტერატურა ფიზიკურად კოლეჯს ჰქონდა, ადაპტირებული არ იყო სრულყოფილად. დღევანდელი დღის მდგომარეობით, რომ ვთქვათ სასწავლო რესურსი, რომელიც საჭიროა პროგრამის სწავლის შედეგებზე გასასვლელად, კოლეჯს აქვს.

ტიტე ბოლქვაძემ აღნიშნა, რომძალიან დააინტერესა დაწესებულების საუკეთესოო გამოცდილებამ, თუ როგორ ხდებოდა მსჯავრდებულების სწავლება.

ექსპერტის განცხადებით, აღნიშნული საკითხი შემთხვევით ახსენეს კოლეჯის წარმომადგენლებმა და როგორც აღმოჩნდა პრობაციის სამსახურს აქვს მსგავსი პროგრამა და სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ კოლეჯებს ჩაერთონ. საუკეთესო გამოცდილებად, იმიტომ მიიჩნიეს, რომ განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდება კოლეჯს იმისთვის რომ მსგავსი ტიპის დაწესებულებებში განახორციელოს პროფესიული განათლების მიწოდება.

ნინო გორგოშაძემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ტექნიკური უცხო ენის მოდულზე განმახორციელებლების დუბლირებასთან დაკავშირებით განმარტება გაეკეთებინა.

ვალერი ჯაჯანიძის განცხადებით,„ტექნიკური უცხო ენის“ მოდულის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ავტომობილების სხვადასხვა ელემენტების დასახელებებს, აბრევიატურებს, სიმბოლოებს, რას ნიშნავს რომ მოდულის განმახორციელებელ პირს კონკრეტულად ეგ უნდა ცოდნოდა .

შორენა ჯაფარიძემ მიმართა კითხვით დარგის ექსპერტს, ხომ არ ფიქრობდა რომ ამ შემთხვევაში ინგლისურის სპეციალისტი საერთოდ არ იყო საჭირო ამ მოდულის წაკითხვისას, თუ საუბარი იყო აბრევიატურაზე, სიმბოლოებზე და ა.შ, იმიტომ რომ ყველა სპეციალისტმა რომელიც დარგში მუშაობს, თუნდაც არ იცოდეს ენა ეს აღნიშვნები ძალიან კარგად იცის. ვალერი ჯაჯანიძე დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით,ინგლისურ ენასთან დაკავშირებით, დარგის ექსპერტს დაეთანხმნენ, ის განმახორციელებელი პედაგოგი, რომელიც ჰყავს შერჩეული კოლეჯს, არის არაჩვეულებრივი ინგლისურის მცოდნე და სწორედ ამიტომ გაჩნდა ეს მოსაზრება და ეს რეკომენდაციაც. თუმცა ისე სხვა პროგრამებშიც, როდესაც ტექნიკურ ინგლისურზე არის საუბარი, ყოველთვის ინგლისურის მასწავლებელი პროფესიული მასწავლებელთან ერთად გადის დეტალურად ტექნიკურ ტერმინოლოგიას და შემდეგ ხდება მისი საათობრივი დატვირთვა. მისი თქმით, ეს პროგრამა, როგორ ექსპერტის რეკომენდაციით გაიგეს, უფრო მეტად სპეციფიურად მოითხოვდა ტექნიკურ ტერმინოლოგიას და შეიძლება მომხდარიყო ისე, რომ ერთიდაიგივე განმახორციელებელი , ერთიდაიგივე პედაგოგი იყოს ინგლისური ენის პედაგოგიც და პროფესიული მასწავლებელიც. რუსთავში ავტოინდუსტრია უნდა იყოს განვითარებული და მითუმეტეს ეს რესურსი კოლეჯში იყო და ეს იყო ერთ- ერთი მთავარი მიზეზიც რის გამოც გადაწყვიტა კოლეჯმა, რომ ეს ორი პროგრამა დაემატებინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი მოდუსისთვის ქალაქ რუსთავში "მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯი „მოდუსს“(ს/კ:216350829) მიენიჭოს უფლება ქალაქ რუსთავშიდამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული "მსუბუქი

ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 3). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 20 მარტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი მოდუსისთვის ქალაქ რუსთავში "ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღებვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯი „მოდუსს“(ს/კ:216350829) მიენიჭოს უფლება ქალაქ რუსთავშიდამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული "ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღებვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 4). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 20 მარტი.

მეექვსე საკითხი : სსიპ - კოლეჯი მოდუსისთვის მარნეულის მუნიციპალიტეტის სასწავლო კორპუსში "სამკერვალო წარმოების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ

საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ნანა მონიავა მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, 2023 წლის 31იანვრის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი ქალაქ რუსთავში და მარნეულში სსიპ კოლეჯ მოდუსში „სამკერვალო წარმოების“ საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ 2022 წლის 20 დეკემბრის No MES 6 23 0000013633 კორესპონდენციით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეიმუშავა დღის განრიგი, რომელიც ცენტრის წარმომადგენელმა გადაუგზავნა კოლეჯს. კოლეჯში ვიზიტი დღის წესრიგის შესაბამისად მიმდინარეობდა. (იხ. ვიზიტის განრიგი, დანართი N1). ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის დირექტორს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, კონკრეტული მიმართულებებზე პასუხისმგებელ პირებს, პროგრამის განმახორციელებლებს (ნაწილთან ონლაინ ჩართვა მოხდა) და პროგრამის ხელმძღვანელს. განხილული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები, კოლეჯის მატერიალური ბაზა, პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმები, პრაქტიკის ობიექტები, პროგრამის მატერიალური რესურსი, პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურა. ექსპერტების მიერ დაწესებულების წარმომადგენლებს მიეწოდა ინფორმაცია მიგნებების შესახებ. ვიზიტი მიმდინარეობდა კეთილგანწყობილ და კონსტრუქციულ გარემოში.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ - კოლეჯი „მოდუსის“ დაწესებულების წარმომადგენლები, პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ განხორციელების ერთ-ერთ საუკეთესო გამოცდილებად მიიჩნევენ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრთან ერთობლივად განხორციელებულ ქალმა მსჯავრდებულებმა სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის სასწავლო კურსს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სამკერვალო წარმოება

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეულია: A სასწავლო გარემო ესაჭიროება 2 მოდულის განხორციელებას და აღჭურვილია შესაბამისი აღჭურვილობით. B სასწავლო გარემო

ესაჭიროება 1 მოდულის განხორციელებას და აღჭურვილია შესაბამისად. C სასწავლო გარემო ესაჭიროება 13 მოდულის განხორციელებას და უზრუნველყოფილია შესაბამისი აღჭურვილობით.

ექსპერტის განცხადებით, სამკერვალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მისაღები სტუდენტების რაოდენობა არის 30. მოდულების განსახორციელებლად საჭირო აღჭურვილობა გათვლილია ერთდროულად 15 სტუდენტისათვის. პარალელურად ორი ჯგუფის არსებობის შემთხვევაში არსებული აღჭურვილობით უზრუნველყოფილი იქნება ორივე ჯგუფი. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის გათვალისწინებით, დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სამკერვალო წარმოების“ განხორციელებაში სულ ჩართულია 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 7 არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, 3 ახორციელებს პროფესიულ მოდულებს. სამივე მასწავლებელს აქვს კომპეტენცია თითოეული მოდულის განხორციელების, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულების შენობის მეორე სართულზე არის ბიბლიოთეკა, რომელშიც გამოყოფილია სამკითხველო სივრცე (სადაც ერთდროულად შესაძლებელია 10 სტუდენტის მომსახურება), განთავსებულია სამი ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერი სტუდენტებისათვის. კედელზე გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. პროგრამით გათვალისწინებული საბიბლიოთეკო რესურსი წარმოდგენილია ელექტრონულად პროფესიული კოლეჯის ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის სამკერვალო წარმოების განყოფილებაში, სადაც წარმოდგენილია მოდულები და თითოეულ მოდულში განთავსებულია ყველა ის ლიტერატურაც რაც ესაჭიროება ამ კონკრეტული მოდულის განხორციელებას. ექსპერტების მიერ ბიბლიოთეკის დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არის წარმოდგენილი პროგრამის მხოლოდ ზოგადი მოდულების სახელმძღვანელოები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, მასწავლებლები, რომლებიც არიან შერჩეული პროგრამის განმახორციელებლებად, იყო თუ არა იგივე კადრი რაც რუსთავში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ იგივე მასწავლებლები არ იყვნენ და ძირითადად ეს განმახორციელებლები მხოლოდ მარნეულის ფილიალში იქნებოდნენ

ამის შემდეგ ექსპერტმა საუბარი განაგრძო კოლეჯის ადაპტირებულ გარემოზე. მისი განცხადებით, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კოლეჯის შენობა ადაპტირებულია შშმ პირისათვის. შენობაში გადაადგილება შესაძლებელია ლიფტით, სამივე სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილები. კოლეჯის სასწავლო პროცესის რეგულირების წესით შემუშავებულია სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, რაც ითვალისწინებს დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით სსსმ პირთათვის შესაბამისი სასწავლო გაერემოს შექმნას. ამავე დოკუმენტში გაწერილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესი. ვიზიტის პერიოდისათვის კოლეჯში სსსმ სტუდენტი არ ირიცხება.

პროგრამის „ სამკერვალო წარმოების „ განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს 4 მემორანდუმი. ეს არის „დარმატექსი“ რუსთავში , 3 საწარმო არის მარნეულში. მაგრამ

მნიშვნელოვანი არის თვითონ ამ საწარმოს წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები, მათთან საუბრითაც და და თვითონ მემორანდუმშიც არის გათვალისწინებული, რომ დაინტერესებულები არიან მარნეულიდან თვითონ უზრუნველყონ სტუდენტების ტრანსპორტირებაც, იმიტომ რომ რეალურად ხედავენ სამომავლოდ ამ სტუდენტების თავიან საწარმოში დასაქმების საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, თუ რა მოდულები განხორციელდებოდა საწარმოებში და რა სწავლის შედეგები იქნებოდა მიღწეული.

ნანა მონიავას განცხადებით,კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ საუბარი იყო ყველა მოდულის განხორციელებაზე აღნიშნულ საწარმოებში. მისი თქმით, მოდულების განხორციელება თვითონ დაწესებულებაშიც არის შესაძლებელი, ვინაიდან კოლეჯი ტექნიკურად უზრუნველყოფილი და გამართული იყო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, თუ როგორ აპირებდა დაწესებულება ერთ ჯერზე 30 სტუდენტის მიღებას.

ექსპერტის განცხადებით,პროგრამის ხანგრძლივობა იყო 18 თვე და დაწესებულება სტუდენტების მიღებას აპირებს ორ ცვლაში (15-15).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი მოდუსისთვის მარნეულის მუნიციპალიტეტში "სამკერვალო წარმოების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯი „მოდუსს“(ს/კ:216350829) მიენიჭოს უფლება მარნეულის მუნიციპალიტეტში დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სამკერვალო წარმოების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 5). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 20 მარტი.

მეშვიდე საკითხი: შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორისთვის ,,სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

მერვე საკითხი: შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორისთვის ,,გემბანის რიგითი მეზღვაურის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებსა და დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფების დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მანანა მოისწრაფიშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან დასაწყისშივე აღნიშნა, რომ ორივე საკითხს წარადგენდა თავად დარგის ექსპერტთან ერთად.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის მიერ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების ,,სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის“ და ,,გემბანის რიგითი მეზღვაური“ ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტით ბ.ბ) კომპონენტის შესაბამისობის შეფასება. შემოწმების მიზნით განხორციელდა ფიზიკური ვიზიტი ქ. ბათუმში ა.წ. 9 თებერვალს ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის (მანანა მოისწრაფიშვილი) და დარგის ექსპერტის (ავთანდილ გეგენავა) მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, მატერიალური რესურსების მართვაზე, შესყიდვებზე, საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირებს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელებსა და განმახორციელებლებს. ექსპერტების მიერ განხორციელდა ავტორიზაციის სტანდარტებთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში კოლეჯის დოკუმენტაციის შესწავლა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება და სხვა. შემოწმების შედეგად 2.2. კომპონენტი შეფასდა სრულ შესაბამისობად. ვიზიტებმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ორივე პროგრამის ფარგლებში)

2.2.1.2. პროგრამების განხორციელების ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით სასურველია პროფესიული განათლების მასწავლებლების საათობრივი დატვირთვები შედგენილი იყოს იმგვარად, რომ მარტივად შეიძლებოდეს თითოეული მასწავლებლის ჯამური დატვირთვის კონტროლი სხვადასხვა ჯგუფებისა და პროგრამების სწავლების შემთხვევაში - რეკომენდაცია შესრულებულია.

2.2.1.7. სასურველია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტირებისას ცალკე გამოყოს პროგრამის განხორციელების ხარჯებში პროფესიული განათლების მასწავლებლების ანაზღაურებისა და სახარჯი მასალების ბიუჯეტი, ვინაიდან ესა უკანასკნელი წარმოადგენს თითოეული პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევისთვის გასაწევ აუცილებელ ხარჯს და გამოყოფილიაც ჩარჩო დოკუმენტებში - რეკომენდაცია შესრულებულია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური
„საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრს ეკვატორი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“ სწავლების უფლება მოპოვებული აქვს ავტორიზაციის გზით 2019 წელს 60 პროფესიული სტუდენტისთვის. 2021 წელს დაწესებულებას წარდგენილი ჰქონდა პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი 30 პროფესიული სტუდენტის დამატების შესახებ, და ზღვრული რაოდენობა გაეზარდათ 90 პროფესიულ სტუდენტამდე. მიმდინარე წლის 2022 წლის 26 დეკემბერს დაწესებულების მიერ ხელახლა იქნა წარდგენილი განაცხადი პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ 50 პროფესიული სტუდენტით, ჯამში 140 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ აღნიშნულ პროფესიულ პროგრამაზე ფიქსირდება სწავლის მსურველთა მაღალი მოთხოვნა. ასევე, სამანქანე განყოფილების მეზღვაურის დასაქმებაზე გაზრდილია ვაკანსიები. შესაბამის მტკიცებულებად წარმოდგენილი იქნა კვლევა და სტატისტიკური დოკუმენტები. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხანგრძლივობა 61 კვირაა, რის გამოც კოლეჯი პროფესიულ სტუდენტებს იღებს წელიწადგამოშვებით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა ეყრდნობა შესაბამის მეთოდოლოგიასა და სასწავლო ცენტრის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, შესაბამის ადამიანურ რესურსებსა და საწარმოო პრაქტიკის გამტარუნარიანობას. კოლეჯს აქვს მდიდარი და კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა, პროგრამის შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი. პროგრამის თეორიული ნაწილი ხორციელდება ქ. ბათუმში, შავშეთის ქ. N29, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობებისთვის კოლეჯს ბათუმგორის ჩიხი N2 მისამართზე მოწყობილი

აქვს აუზი, სტანდარტებით აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი გემზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოდულის განხორციელებისთვის და ასევე გემის მექანიზმების ტექნიკური მომსახურება/რემონტის მოდულის განხორციელების შესაბამისი სახელოსნო. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 2 A და 2 B გარემოები. A გარემო აღჭურვილია 30 - 30 პროფესიული სტუდენტისთვის. დაწესებულებას აქვს 1 კაბინეტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის და 1 საკონფერენციო ოთახი 40 პროფესიული სტუდენტისათვის. A გარემოს თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია კომპიუტერები, პროექტორები, ეკრანები, სასწავლო თვალსაჩინოების პლაკატები, B გარემოს 1 ოთახში განთავსებულია 20 პროფესიული სტუდენტისთვის პერსონალური კომპიუტერები, ხოლო მეორეში 10 კომპიუტერი. C გარემოში განთავსებულია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობები და საწვრთნელი ტრენაჟორები, სამაშველო ტივი, სამანქანე განყოფილების სიმულატორი, საბურღი დაზგა, 200 კვ-ტიანი შიგა წვის ძრავი, დიზელგენერატორი, დამხმარე მექანიზმები, პირველადი დახმარების სამედიცინო კაბინეტი, სადაც განთავსებულია სამედიცინო მულაჟები და შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობა, ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი და ხანძართან ბრძოლის წვრთნების ჩატარებისთვის საჭირ აღჭურვილობა დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსი შესაბამისობაშია სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროგრამით დადგენილ მოთხოვნებთან და ასევე აკმაყოფილებს საზღვაო სფეროში არსებულ საერთაშორისო კონვენციებით და სტანდარტებით განსაზღვრულ პირობებსა და რეგულაციებს. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის, მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების უფრო მაღალი ხარისხით მიღწევისთვის და სრულყოფილი პრაქტიკული უნარების მქონე სპეციალისტების გამოშვების მიზნით დაწესებულებამ გააუმჯობესა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და 2022 წელს დამატებით შეიძინა: 44 კომპიუტერი; 40 მაგიდა და სკამი სასწავლო მიზნებისთვის; 2 ასლგადამღები აპარატი; 6 ეკრანი პროექტორისათვის; 17 საოფისე სავარძელი სიმულატორული გარემოსთვის. სასწავლო მიზნებისთვის სრულად მოეწყო და აღიჭურვა სამანქანე განყოფილების სახელოსნო; განახლდა და მოეწყო უახლესი მოდელის სიმულატორებით სამანქანე და საგემბანე განყოფილების სიმულატორული ოთახი; პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით კი კოლეჯს ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება N 109-07-22112021 N7/027, 2021 წლის 22 ნოემბერი,გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროგრამის 90 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკით უზრუნველყოფის მიზნით და ასევე, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „სენდ“-თან 2021 წლის დეკემბერი - 150 პროფესიული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკის შეუფერხებლად გატარების უზრუნველსაყოფად. დაწესებულებამ დამატებით გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს ლმნტ-სთან არაუმეტეს 200 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკით უზრუნველყოფისთვის (07/16, 15.07.2022 წ.).

საერთო ჯამში სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B და C გარემოები 140 პროფესიული სტუდენტის სწავლებისთვის ორ ცვლაში; ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯის მიერ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობისთვის - 140 პროფესიული სტუდენტი - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - გემბანის რიგითი მეზღვაური

„საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრს ეკვატორი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,გემბანის რიგითი მეზღვაური“ სწავლების უფლება მოპოვებული აქვს ავტორიზაციის გზით 2019 წელს 80 პროფესიული სტუდენტისთვის. 2021 წელს დაწესებულებას წარდგენილი ჰქონდა პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა

ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი 30 პროფესიული სტუდენტის დამატების შესახებ, და ზღვრული რაოდენობა გაეზარდათ 110 პროფესიულ სტუდენტამდე. მიმდინარე წლის 2022 წლის 26 დეკემბერს დაწესებულების მიერ ხელახლა იქნა წარდგენილი განაცხადი პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ 30 პროფესიული სტუდენტით, ჯამში 140 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ აღნიშნულ პროფესიულ პროგრამაზე ფიქსირდება სწავლის მსურველთა მაღალი მოთხოვნა. ასევე, გემბანის მეზღვაურის დასაქმებაზე გაზრდილია ვაკანსიები. შესაბამის მტკიცებულებად წარმოდგენილი იქნა კვლევა და სტატისტიკური დოკუმენტები. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხანგრძლივობა 61 კვირაა, რის გამოც კოლეჯი პროფესიულ სტუდენტებს იღებს წელიწადგამოშვებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,გემბანის რიგითი მეზღვაური“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა ეყრდნობა შესაბამის მეთოდოლოგიასა და სასწავლო ცენტრის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და საწარმოო პრაქტიკის გამტარუნარიანობას. კოლეჯს აქვს მდიდარი და კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა, პროგრამის შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი. პროგრამის თეორიული ნაწილი ხორციელდება ქ. ბათუმში, შავშეთის ქ. N29, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობებისთვის კოლეჯს ცალკე მისამართზე ბათუმგორის ჩიხი 2 გააჩნია აუზი, შესაბამისი სტანდარტებით აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი და სამღებრო საქმის მოდულის სახელოსნო.
პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 2 A და 2 B გარემოები. A გარემოს აუდიტორიები აღჭურვილია 30 და 40 პროფესიული სტუდენტისთვის. კოლეჯს გააჩნია ასევე 1 კაბინეტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის და 50 პროფესიულ სტუდენტზე მოწყობილი საკონფერენციო ოთახი. თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია კომპიუტერები მასწავლებლებისათვის, პროექტორები, ეკრანები, სასწავლო თვალსაჩინოების პლაკატები, B გარემოს ორი აუდიტორიაში განთავსებულია სულ 30 პროფესიული სტუდენტისთვის პერსონალური კომპიუტერები. C გარემოში განთავსებულია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობები და საწვრთნელი ტრენაჟორები, სამაშველო ტივი, გემის ხიდურის სიმულატორი, რადიოლოკაციური სიმულატორი, პირველადი დახმარების სამედიცინო კაბინეტი, სადაც განთავსებულია სამედიცინო მულაჟები და შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობა, ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი და ხანძართან ბრძოლის წვრთნების ჩატარებისთვის საჭირო აღჭურვილობა, სამღებრო საქმის შესწავლისთვის საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა და სხვა.

დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსი აკმაყოფილებს როგორც გემბანის რიგითი მეზღვაურის პროგრამით დადგენილ მოთხოვნებს, ასევე, საზღვაო სფეროში არსებულ საერთაშორისო კონვენციებით და სტანდარტებით განსაზღვრულ პირობებსა და რეგულაციებს. სწავლის შედეგების უფრო მაღალი ხარისხით მიღწევისთვის და სრულყოფილი პრაქტიკული უნარების მქონე სპეციალისტების გამოშვების მიზნით დაწესებულებამ გააუმჯობესა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და 2022 წელს დამატებით შეიძინა: 44 კომპიუტერი; 40 მაგიდა და სკამი სასწავლო მიზნებისთვის; 2 ასლგადამღები აპარატი; 6 ეკრანი პროექტორისათვის; 17 საოფისე სავარძელი სიმულატორული გარემოსთვის. სასწავლო მიზნებისთვის სრულად მოეწყო და განახლდა უახლესი მოდელის სიმულატორებით საგემბანე განყოფილების სიმულატორული ოთახი; პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯს ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება N 109-07-22112021 N7/027, 2021 წლის 22 ნოემბერი, 110 გემის საგემბანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროგრამის პროფესიული სტუდენტის პრაქტიკით უზრუნველყოფის მიზნით და ასევე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „სენდ“-თან 2021 წლის დეკემბერი - 150 პროფესიული სტუდენტის საწარმოო

პრაქტიკის შეუფერხებლად გატარების უზრუნველსაყოფად. დაწესებულებამ დამატებით გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს ლმნტ-სთან არაუმეტეს 200 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკით უზრუნველყოფისთვის (07/16, 15.07.2022 წ.).
საერთო ჯამში გემბანის რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B და C გარემოები 140 პროფესიული სტუდენტის სწავლებისთვის ერთ ცვლაში; ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯის მიერ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობისთვის - 140 პროფესიული სტუდენტი - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორისთვის ,,სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, „შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორს“(ს/კ:245624819)დანართით განსაზღვრულ ,,სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის“პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 140-ით (დანართი 6). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 20 მარტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორისთვის ,,გემბანის რიგითი მეზღვაურის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, „შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორს“(ს/კ:245624819)დანართით განსაზღვრულ ,,გემბანის რიგითი მეზღვაურის“პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 140-ით (დანართი 7). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 20 მარტი.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ, 16:02 საათზე ავტორიზაციის საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქ. N 5
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას. გამზ. N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	64
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას. გამზ. N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	82
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღებვა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ავტოსატრანსპორტო საშუალებების ძარას შეკეთებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას. გამზ. N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	56
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	71

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	სამკერვალო წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	მარნეული, იაღლუჯის დასახლება
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

დანართი 6

პროგრამის სახელწოდება	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ბათუმი, შავშეთის 29, ბათუმგორის ჩიხი 2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	140
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	103

დანართი 7

პროგრამის სახელწოდება	გემბანის რიგითი მეზღვაური
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ბათუმი, შავშეთის 29, ბათუმგორის ჩიხი 2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	140
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	92
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	107